

**ქართული მწერლობის საკითხები  
ალექსანდრე მანველიშვილის  
ნააზრევში**

**ISSUES OF GEORGIAN LITERATURE  
ACCORDING TO THE WORLDVIEW  
OF ALEXANDER MANVELISHVILI**

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი. საქართველო

**Avtandil Nikoleisvili**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi. Georgia

**ABSTRACT**

Despite the fact that the history of Georgia was the main research interest of Alexander Manvelishvili (1904-1997), the Georgian emigrant scholar, who lived in Europe and America for a long period of time, the history of Georgian literature was another area of study among his scholarly interests.

His publications related to Georgian literature could be divided into four major parts: First- the essays which reveal the main tendencies of the development of the ancient Georgian literature, and second-Rustvelological works. Apart from publishing numerous articles related to this field in the Georgian emigrant press, he also dedicated a monograph to the study of the issues pertaining to Rustaveli's poem. The monograph was entitled "The Knight in the Panther's Skin and Moral Ideology of Rustaveli". The third part of his works offers the analysis of writings by the 19th-century Georgian authors. Lastly, his articles should be identified as the fourth part of his works that manifest Alexander Manvelishvili's literary perspective, which discusses certain examples of the works of several Georgian writers in the past century. Those studies that provide the assessment of literary ideas of Georgian emigrant authors acquire particular importance.

Unfortunately, Alexander Manvelishvili's versatile career and his scientific-literary heritage have not been the focus of an in-depth study which should certainly be considered as a serious pitfall of Kartvelology.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მწერლობის ისტორია, ქართველი ემიგრანტი მეცნიერები, ალექსანდრე მანველიშვილი.

**Keywords:** History of Georgian Literature, Georgian emigrant Scholars, Alexander Manvelishvili.

მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ევროპასა და ამერიკაში მცხოვრები გულმხურვალე მამულიშვილის – ალექსანდრე მანველიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის უმთავრეს სფეროს საქართველოს ისტორია და პოლიტოლოგია წარმოადგენდა და მან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მიმართულებებით შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებში წარმოაჩინა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, იგი ქართული მწერლობის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარიც იყო. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს მის მიერ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში შეტანილ წვლილზე, მკვლევრის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან მკითხველის ყურადღება ამჯერად მის იმ ნაშრომებს მივნივთ, რომლებშიც ქართველ მწერალთა შემოქმედებაა ქცეული განხილვის საგნად.

იმ მკვლევართა შორის, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს საბჭოთა პერიოდის საქართველოში ნაკლებად ცნობილი ამ პიროვნების ღვაწლის წარმოსაჩენად, აქ, პირველ ყოვლისა, გურამ შარაძე მინდა გავიხსენო. კერძოდ, 1990 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, იგი პირადად სტუმრობდა იმხანად ამერიკის შეერთებული შტატების კოლორადოს შტატში, ქალაქ დენვერთან ახლოს მდებარე ქალაქ არვადაში, მცხოვრებ ქართველ მამულიშვილს და ამ შეხვედრისა და შემდგომში მასთან გამართული ინტენსიური მიმოწერის შედეგად მრავალი უნიკალური მასალა მოიპოვა როგორც მის მრავალმხრივ პოლიტიკურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან, ისე ამერიკასა და ევროპაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან დაკავშირებით (ამის შესახებ იხ.: შარაძე 1993: 397-436).

სწორედ მან ჩამოიტანა საქართველოში ამერიკასა და ევროპაში გამოცემული მისი წიგნები, რომელნიც დღეს უკვე თავისუფლადაა ხელმისაწვდომი. გარდა ხსენებული წიგნებისა, ალ. მანველიშვილი ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი წერილის ავტორიცა და უცხოეთში მისი ძალისხმევით დაარსებული რამდენიმე პერიოდული ორგანოს რედაქტორ-გამომცემელიც იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უაღრესად მრავალფეროვანი ამ მემკვიდრეობიდან მკითხველის ყურადღება ამჯერად ალ. მანველიშვილის იმ ნაშრომებს მივნივთ, რომელთა მეშვეობითაც მან თავისი თვალთახედვით სცადა გაეანალიზებინა და შეეფასებინა როგორც ქართული მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, ისე მხატვრული სიტყვის შემოქმედთა ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში ალექსანდრე მანველიშვილის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენამდე რამდენიმე სიტყვით გავიხსენებ უმთავრეს ეპიზოდებს მისი ცხოვრებიდან.

დაიბადა 1904 წელს დაბა ვალეში. 1915 წელს იქვე დაამთავრა სამწლიანი სკოლა და სწავლა განაგრძო ახალციხის სასწავლებელში. 1924 წელს, ხსენებული სკოლის წარჩინებით დასრულებისთანავე, ჩაირიცხა თბილისის უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1928 წელს, აღნიშნული ინსტიტუტის დახურვის გამო, სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სწავლის დასრულების შემდეგ მასწავლებლად განაწესეს ახალციხეში. მაგრამ, ანტისაბჭოთა შეხედულებათა გამო ხელისუფლების

მხრიდან შევიწროებული, ხანმოკლე დროით ჯერ თბილისში დაბრუნდა, 1929 წელს კი რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა.

საფრანგეთში დამკვიდრებულმა ალექსანდრემ ინტენსიური ურთიერთობა დაამყარა იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით მას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ შექმნასა და ფუნქციონირებაში. ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1926-1939 წლებში იგი ხსენებული ორგანიზაციის მიერ გამოცემული ბეჭდური ორგანოს – გაზეთ „თეთრი გიორგის“ ფაქტიური რედაქტორი იყო.

1930-იანი წლების დასაწყისში „თეთრი გიორგის“ წევრთა შორის შეხედულებათა მკვეთრი განსხვავებულობის საფუძველზე წარმოქმნილი დაპირისპირების გამო ალექსანდრე მანველიშვილი თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ხსენებულ ორგანიზაციას გამოეყო და 1934-1938 წლებში პარიზში სცემდა გაზეთ „მომავალს“.

1953-1958 წლებში ალ. მანველიშვილი პარიზში თავისივე რედაქტორობით სცემდა ჟურნალ „ერის დიდებას“ (სულ გამოვიდა 7 ნომერი).

გარდა ხსენებული პერიოდული გამოცემების დაარსებისა და რედაქტორობისა, ალ. მანველიშვილმა 1954 წელს ვახტანგ ციციშვილთან ერთად პარიზში ფრანგულენოვანი გაზეთიც გამოსცა – „აქსიონ ჟეორჟენ“ – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიგის ორგანო (გამოდიოდა 1956 წლამდე. სულ გამოიცა 22 ნომერი). ხსენებული გაზეთის გამოცემის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხთა პროპაგანდა ევროპაში.

1958 წელს ალ. მანველიშვილი ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა და დარჩენილი ცხოვრების წლები ამ ქვეყანაში გაატარა. სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა ჯერ ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოში, ბოლოს კი კოლორადოს შტატის ქალაქ არვადაში, სადაც გარდაიცვალა 1997 წელს (ალ. მანველიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხ.: შარაძე 1993: 397-462).

ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით ალ. მანველიშვილის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები ოთხ უმთავრეს ნაწილად შეიძლება დავყოთ:

პირველი, ძველი ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდებისა და ტენდენციების წარმომჩენი ნარკვევები. ალ. მანველიშვილი არა მარტო ზოგადად მსჯელობს აღნიშნულ საკითხებზე, არამედ შესაბამის პერიოდებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებით მემკვიდრეობასაც აანალიზებს თავისი თვალთახედვით. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ეპოქის ლიტერატურული მოვლენების შესწავლის დროს იგი, როგორც თავადვე აღნიშნავს, მნიშვნელოვანწილად ეყარებოდა საქართველოში მოღვაწე ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომებს, ხსენებული პერიოდის ლიტერატურულ მოვლენათა წარმომჩენი მისი ცნობილი წიგნი „ძველი ქართული მწერლობა“ (სან-ფრანცისკო, 1987) მხოლოდ კომპილაციური შინაარსის მქონე ნაშრომს არ წარმოადგენს და ავტორი შესაბამისი პერიოდების ლიტერატურულ მოვლენებსა და იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებასთან დაკავშირებით არაერთ ორიგინალურ მოსაზრებასაც გამოთქვამს.

მეორე, ალ. მანველიშვილმა თავისი ლიტერატურათმცოდნეობითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში გამოავლინა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ იგი ქართულ ემიგრანტულ პრესაში ამ მიმართულებით გამოქვეყნებული არაერთი ნარკვევის ავტორია, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული საკითხების შესწავლას მან ორიგინალური თვალთახედვით გააზრებული მონოგრაფიაც მიუძღვნა სახელწოდებით „ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია“ (ამ ნაშრომის შესახებ იხ.: ნიკოლეიშვილი 2015: 183-190).

მესამე, ალ. მანველიშვილის ლიტერატურათმცოდნეობითი შესაძლებლობების წარმომჩენ მესამე ნაკადად მისი ის წერილები მინდა გამოვყო, რომლებშიც XIX საუკუნის დიდ ქართველ მწერალთა შემოქმედების ცალკეული მხარეები, პირველ ყოვლისა კი მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვაა გაანალიზებული და შეფასებული. მართალია, მისი მეცნიერულ-ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ეს მიმართულება წინა ორ მიმართულებებთან შედარებით ნაკლები მასშტაბის მომცველია, მაგრამ ხსენებულ ავტორებთან დაკავშირებით ალ. მანველიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მაინც უნდა შეფასდეს როგორც საგულისხმო ინტერპრეტაციები.

და ბოლოს, ალ. მანველიშვილის ლიტერატურული თვალთახედვის წარმომჩენ მეოთხე ნაკადად მისი ის წერილები უნდა გამოვყოთ, რომლებშიც, თუმცა ძალზე მოკლედ და გარკვეულწილად სქემატურადაც კი, არის განხილული გასულ საუკუნეში მოღვაწე რამდენიმე ქართველი მწერლის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები. მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ნარკვევები იძენს, რომლებშიც ემიგრაციაში მოღვაწე ავტორთა მხატვრული ნააზრევია გაანალიზებული. ხსენებული ნაშრომების ღირსებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული ამ წერილებით საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ქართველები ბევრ ახალ ინფორმაციას იღებდნენ მათთვის ნაკლებად ცნობილ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ქვემოთ შევეცდები მოკლედ გავანალიზო და არგუმენტირებულად წარმოვაჩინო ის წვლილი, რომელიც ალ. მანველიშვილს თავისი ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომებით აქვს შეტანილი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საუბარს დავიწყებ 1987 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან-ფრანცისკოში, გამოცემული წიგნის – „ძველი ქართული მწერლობა“ – ანალიზით. ალ. მანველიშვილის განმარტებით, ხსენებული ნაშრომის, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსის, შექმნა არსებითად განაპირობა მისმა პრაქტიკულმა საჭიროებამ. კერძოდ, მისი მიზანი იყო, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის ამ წიგნის მეშვეობით „მოკლედ, სქემატურად მაინც, მიეწოდებინა ჩვენი ძველი და მდიდარი მწერლობის შინაარსი“ (მანველიშვილი 1987: 1).

ავტორის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ შესწავლის საგნად ქვეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას იგი „უმთავრესად საკუთარი

გზით განიხილავდა“, ცალკეული საკითხების გაანალიზების დროს ის ამ პერიოდის ქართული მწერლობის ცნობილ მკვლევართა ნაშრომებსაც ფართოდ იყენებდა. კერძოდ, მისივე თქმით, ის „უმთავრესად სარგებლობდა კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის და პ. ინგოროყვას გამოკვლევებით. სასულიერო მწერლობის დარგში კი ძირითადად ემყარებოდა პ. ინგოროყვას“ (იქვე).

წიგნის პირველ თავში ალ. მანველიშვილი მოკლედ მიმოიხილავს ქართული მწერლობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნასთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებებს და მხარს უჭერს იმ მკვლევართა შეხედულებას, რომელთა მიხედვითაც ქართველებს მწერლობა და დამწერლობა ქრისტიანობამდელ პერიოდშიც გვქონდა და ამ მიმართულებითაც „ხანგრძლივი ტრადიცია“ გვაქვს. ამიტომაც არ მიაჩნია მას „შუშანიკის წამება“ ჩვენს პირველ ლიტერატურულ ძეგლად.

წიგნის დასაწყისში ასევე სპეციალური მსჯელობის საგნადაა ქცეული ქართული დამწერლობის წარმოშობასთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებანი.

აღნიშნულ საკითხთა განხილვის შემდეგ ალ. მანველიშვილი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აანალიზებს ძველი ქართული ლიტერატურის ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვან ტექსტს. ავტორისეულ ნააზრევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ ხსენებული ნაწარმოებები მას, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი პერიოდის ისტორიულ მოვლენებთან მიმართებით აქვს განხილული. ხსენებული ტექსტებიდან მოხმობილ ეპიზოდებზე დაყრდნობით, ალ. მანველიშვილი დამაჯერებლად წარმოაჩენს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც მათ ავტორებს თავიანთი ნაწარმოებების უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად ქცეული სარწმუნოებრივი და ეროვნული თვალთახედვის განმტკიცების საქმეში აქვთ შესრულებული.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს წიგნის სტრუქტურაზე, გავიხსენებ ავტორის მიერ განხილულ თემატიკას:

თავი პირველი: ქართული მწერლობის დასაწყისი; საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრები; დასაწყისი ქართული მწერლობის ხასიათი.

თავი მეორე: ქართული მარტვილობა: „წამება წმინდისა შუშანიკისა“, „მარტვილობა ევსტატე მცხეთელისა“. „მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა“, „მარტვილობა ცხრა ძმათა კოლაელთა“, „მარტვილობა აბო თბილელისა“, „არაბთა დროის მარტვილობანი“.

თავი მესამე: „ცხოვრებანი“: „ცხოვრება წმ. ნონოსი“, „ცხოვრება მიქელ პარექელისა“, „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, ასურელ მამათა მოღვაწეობა, კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მოღვაწეები, „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“, „ცხოვრება ექვთიმე მთაწმინდელისა“, „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, გრიგოლ ბაკურიანის ტიბიკონი, „ცხოვრება პეტრე ქართველისა“.

თავი მეოთხე: ქართული სასულიერო პოეზია. ქართული ჰიმნოგრაფია საქართველოში; პალესტინის სკოლა; მთაწმინდის სკოლა; მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის სასულიერო პოეზია; შესხმანი.

თავი მეხუთე: ქართული საისტორიო მწერლობა; სუმბატ დავითის ძე; ლეონტი მროველი; ჯუანშერის ისტორია; დავით აღმაშენებლის ისტორია; თამარის პირველი ისტორიკოსი; თამარის მეორე ისტორიკოსი.

თავი მეექვსე: ფილოსოფიური მწერლობა. ეფრემ მცირე; არსენ იყალთოელი; იოანე პეტრიწი.

თავი მეშვიდე: აღორძინების წინ. საქართველოს საერთო მდგომარეობა; ურთიერთობა ბიზანტიასთან; ურთიერთობა აღმოსავლეთთან; ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან.

თავი მერვე: ამირანდარეჯანიანი; ვისრამიანი; შესხმანი: აბდულმესია, თამარიანი.

თავი მეცხრე: შოთა რუსთაველი: რუსთაველის ვინაობა; ლეგენდები; პოემის სტრუქტურა; მთავარი მოტივები; რუსთაველის ენა; სიყვარული; ქალის კულტი; მეგობრობა; რუსთაველის სარწმუნოება; რუსთაველის სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები; ვეფხისტყაოსნის ეროვნული და საკაცობრიო ხასიათი.

თავი მეათე: გარდატეხის ხანა: საერთო მდგომარეობა; ვეფხისტყაოსნის დამატება-გაგრძელებანი; ხვარაზმელთა ამბავი; გმირთა სიკვდილის ამბავი; ომანიანი, როსტომიანი.

თავი მეთერთმეტე: თეიმურაზ პირველი; მეფე არჩილი;

თავი მეთორმეტე: მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი; სულხან-საბა ორბელიანი; მეფე ვახტანგ მეექვსე; თეიმურაზ მეორე.

თავი მეცამეტე: დავით გურამიშვილი; ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი).

თავი მეთოთხმეტე: აშუღური პოეზია; დრამატურგია; მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი პლეადა; სამეცნიერო და ფილოსოფიური მწერლობა.

ძველი ქართული ლიტერატურიდან კარგად ცნობილი ამ ტექსტების ანალიზის დროს ალ. მანველიშვილი ცდილობს სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით დაანახოს მკითხველს მათი მნიშვნელობა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ამ მიზნის მისაღწევად იგი კომპლექსურად ააანალიზებს განსახილველ ნაწარმოებთა პოზიტიურ მხარეებს და ცდილობს სათანადოდ შეაფასოს მათი ავტორების ლიტერატურული შესაძლებლობები.

სასულიერო მწერლობის ნიმუშთა განხილვის დროს ალ. მანველიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს უაღრესად მნიშვნელოვან იმ როლს, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ასრულებდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. კერძოდ, შესაბამისი ტექსტებიდან მოშველიებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, თავის მხრივ ისიც ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მყარად დამკვიდრებულ ამ თვალსაზრისს და ქართული სასულიერო მწერლობის წარმომადგენელთა ეროვნული მრწამსისა და რელიგიური რწმენის ერთმანეთისაგან განუყოფლობას ასეთ შეფასებას აძლევს: ხსენებულ ნაწარმოებთა ავტორები „ამ ორ მოტივს, სარწმუნოებრივსა და ეროვნულს“, არასოდეს „განაშორებენ ერთი მეორეს“ (მანველიშვილი 1987: 64).

იქიდან გამომდინარე, რომ ალ. მანველიშვილის მეცნიერული კვლევის უმთავრეს სფეროს საქართველოს ისტორია წარმოადგენდა, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მისეული ანალიზი პრიორიტეტულადაა დაკავშირებული შესაბამისი პერიოდების ისტორიულ მოვლენებთან. ამ ფაქტორს მის ნააზრევში იმდენად დიდი მნიშვნელობაც კი აქვს მინიჭებული, რომ ჩვენი მწერლობის ამ ნიმუშებს იგი საქართველოს ისტორიის შესასწავლადაც უაღრესად ფასეულ წერილობით ძეგლებადაც

მიიჩნევს და შესაბამის პარალელებსაც ავლებს მის მიერ განხილულ მხატვრულ ტექსტებსა და იმდროინდელ ისტორიულ რეალობას შორის.

ნაშრომის მეოთხე თავში ალ. მანველიშვილმა ცალკე განხილვის საგნად აქცია ძველი ქართული ლიტერატურიდან ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად ცნობილი ისეთი დარგი, როგორცაა სასულიერო პოეზია და ქართველ ჰიმნოგრაფთა პოეტურ შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები უმთავრესად პავლე ინგოროყვას ნაშრომებზე დაყრდნობით გააანალიზა.

როგორც მკითხველი განსახილველი წიგნის სარჩევითაც დარწმუნდება, ალ. მანველიშვილს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ძველი ქართული მწერლობის არც ერთი მიმართულება და, გარდა საკუთრივ მხატვრული ნაწარმოებებისა, მისი თვალთახედვის არეალში ისეთი ტექსტებიც მოხვდა, რომლებიც პირობითად თუ შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებად. მხედველობაში მაქვს იმხანად შექმნილი საისტორიო და ფილოსოფიური ლიტერატურის ნიმუშები. ალ. მანველიშვილის შეფასებით, ქართული საისტორიო და ფილოსოფიური მწერლობის ეს ძეგლები იმავდროულად „მაღალი მხატვრულობით“ გამორჩეულ „მხატვრულ შედეგებსაც“ წარმოადგენს (მანველიშვილი 1987: 165).

ალექსანდრე მანველიშვილის ლიტერატურათმცოდნეობითმა კვლევა-ძიებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბი შეიძინა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული საკითხების შესწავლის შედეგად შექმნილი ნაშრომებით. გარდა იმისა, რომ იგი ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული არაერთი რუსთველოლოგიური ნარკვევის ავტორია, ამ მიმართულებით მას ვრცელი მოცულობის ორი ფუნდამენტური ნაშრომიც აქვს დასტამბული: პირველი – 1933 წელს სტამბოლში გამოცემული მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია“ და მეორე – 1987 წელს სან-ფრანცისკოში დაბეჭდილ მის წიგნში – „ძველი ქართული მწერლობა“ – შეტანილი ვრცელი ნარკვევი შოთა რუსთველზე.

რუსთველის პოემისადმი მკვლევრის მიერ ესოდენ ცხადად გამოვლენილ განსაკუთრებულ ინტერესს არსებითად განაპირობებდა რწმენა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო ქართული მწერლობის უპირველესი შენამენი იყო, არამედ ყველა დროისა და ეპოქის მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშიც. კერძოდ, ალ. მანველიშვილის შეფასებით, „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს აკლდამას საუნჯეთა: იქ ინახება ჩვენი ეროვნული სული ამაყი; სიყვარულის, მიჯნურობის, სიმართლის, მეგობრობის, სიმამაცის, ძლიერი ნებისყოფის უმაღლესი ფორმების შემეცნება; ქართველთა მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის დაწმენდილი და განსპეტაკებული სახე; ქართველი ერის ოპტიმისტური სული, მისი ესთეტიკა; მის მიერ ამქვეყნიური არსებობისა და დანიშნულების უმშვენიერესი გაგება“ (მანველიშვილი 1933: 5).

ალ. მანველიშვილის რუსთველოლოგიურ შეხედულებათა წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მისი იმ ნარკვევების შესახებაც მინდა ვთქვა, რომელნიც 1990 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-

ფრანცისკოში გამოცემულ მის წიგნში – „ნარკვევები და წერილები“ – არის წარმოდგენილი სახელწოდებით „წიგნები და ადამიანები.“ ხსენებულ წერილებში, რომლებიც მანამდე ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებშიც იყო გამოქვეყნებული, კრიტიკული თვალთახედვითაა განხილული მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, შალვა ნუცუბიძის, სარგის კაკაბაძის, ივანე ლოლაშვილის, ვლადიმერ ნორაკიძის, სარგის ცაიშვილისა და სხვა ქართველ მკვლევართა შორის „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით დღესაც კამათის საგნად ქცეული არაერთი პრობლემა (ტექსტოლოგიური საკითხები, პოემის ავტორის ვინაობა, რუსთველის მსოფლმხედველობა, რელიგიური მრწამსი და ქრისტიანობასთან დამოკიდებულება და ა. შ. ხსენებული ნარკვევი იხ.: მანველიშვილი 1990 (1): 121-160).

აღნიშნული ნაშრომისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ალ. მანველიშვილი არა მარტო ხსენებულ ავტორთა რუსთველოლოგიური გამოკვლევების კრიტიკული თვალთახედვით შემფასებლის როლში გამოდის, არამედ ხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებითაც გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებებს.

მაგალითად, აი, რა აზრისა იყო იგი რუსთველოლოგთა ერთი ნაწილის მიერ კამათის საგნად ქცეულ ისეთ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობა და ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დამოკიდებულება: ალ. მანველიშვილის მტკიცებით, „რუსთაველი ისეთივე მორწმუნე ქრისტიანი იყო, როგორც მისი დროის მოწინავე საზოგადოება. განა დავით აღმაშენებელს მოსწონდა ყოველივე სასულიერო წრის, მაგრამ მის ქრისტიანობაში ეჭვს ვინ შეიტანს? ანდა დიდი გიორგი მთაწმინდელი არ სდევნიდა ხშირად ფანატიკურ სამღვდელოებას, ვინც, მისი სიტყვით, ეკლესიის გალამაზებაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ხალხის სულიერ და ზნეობრივ სილამაზებაზე? რუსთაველი, როგორც ქრისტიანი, ამ ორი დიდი წინაპრის მემკვიდრეა“ (მანველიშვილი 1990 (1): 128).

ალ. მანველიშვილის რუსთველოლოგიური ნააზრევისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ ავტორი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართველ მკვლევართა მიერ ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომებს და ქართულ ემიგრანტულ პრესაში ხშირად ბეჭდავდა რეცენზიებს მათ შესახებ. ხსენებულ პუბლიკაციებში იგი არა მარტო ამ ნაშრომთა პოზიტიურ მხარეებს წარმოაჩენდა, არამედ კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოთქვამდა საკმაოდ მწვავედ.

ალ. მანველიშვილის ლიტერატურული ნააზრევის პოზიტიურ მხარეთა წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება ორ უმთავრეს გარემოებას მინდა მივაქციო: პირველი – ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედებით მემკვიდრეობას იგი უწინარესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებთან მიმართებით აანალიზებდა; და მეორე – იმ ყალბ და რეალურ საფუძველს მოკლებულ იდეოლოგი-ზებულ შეფასებათა არგუმენტირებულ უგულებელყოფას, რასაც საბჭოთა ეპოქაში მცხოვრებ ლიტერატურათმცოდნეთა არცთუ მცირე ნაწილი აძლევდა არა მარტო იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებას, არამედ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც.

როგორც ალ. მანველიშვილის ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, მას ამ სამწუხარო მოვლენის განმაპირობებელი ფაქტორები კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და ამ მოვლენას სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა საბჭოთა ეპოქაში არსებული სახელისუფლებო იდეოლოგიური პოლიტიკის ლოგიკურ შედეგად. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა თავად ის აღნიშნულ მოვლენას თავის ერთ-ერთ წერილში: „ისეთ პირობებში, როდესაც აკრძალულია თავისუფალი აზროვნება; აკრძალულია, ადამიანმა სთქვას და სწეროს ისე, როგორც ის ფიქრობს, იმ მეთოდითა და იმ კონცეპციით, რაც ავტორის ინდივიდუალური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს; როდესაც სავალდებულო კანონად არის გამოცხადებული კომუნისტური პარტიის მეთოდი და აზროვნება, რის მიხედვითაც უნდა ფასდებოდეს ყოველივე – ლოდიკურია, რომ ჩვენ შორს ვართ მოვლენათა მიუდგომელი დაფასებისაგან. იქ, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ყოველგვარი მეცნიერება ატარებს პარტიულ კლასიურ ხასიათს, საზოგადოდ, მეცნიერებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია“ (ილია ემიგრანტთა თვალით 1996: 3).

ილია ჭავჭავაძის ეროვნული მსოფლმხედველობის შეფასების დროს ალ. მანველიშვილმა სავსებით მართებულად მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ „მთელი მისი დაუღალავი მუშაობა მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ: ქართველ ხალხში დაეთრგუნა განკერძოებული მისწრაფებანი და შეექმნა ერთი მთლიანი, მკვრივი ეროვნული სხეული... მან ყოველგვარი „იზმისაგან“ თავი შეიკავა და თავისი აზროვნება გაშალა ერთი მთლიანი ეროვნული მოძღვრების სახით“ (მანველიშვილი 1984: 53).

ალ. მანველიშვილის მიერ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვასა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ამგვარ მოსაზრებათა შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ დღესდღეობით ფართოდ გაზიარებულ ასეთ ინტერპრეტაციას იგი იმ დროს აძლევდა, როცა საბჭოთა იდეოლოგიური ხუნდებით შებოჭილ მკვლევართა დიდი ნაწილი ილიას შემოქმედებით მემკვიდრეობას მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებთან ხელოვნურად მისადაგებული ფორმით განიხილავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში ალ. მანველიშვილის ცხოვრების დროს უცხოეთში მრავალი დასახელების ქართული პერიოდული ორგანო გამოდიოდა, მათი დიდი ნაწილი მეტად ხანმოკლე გამოცემას წარმოადგენდა და პარტიული და ჯგუფური ინტერესებით შებოჭილობის გამო მათ ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი აქვთ დამკვიდრებული ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ქართული ემიგრანტული პრესისაგან განსხვავებით, ალ. მანველიშვილი უფრო მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველ ემიგრანტთა ცალკეული წარმომადგენლების მიერ გამოცემულ წიგნებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც მათი ავტორების დიდი ნაწილის მიმართ ავლენდა ნაკლებად კრიტიკულ დამოკიდებულებას, იგი იმ გარემოებასაც აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ ქართველ ემიგრანტ მწერალთა და მეცნიერთა შორის ისეთი მოღვაწენიც იყვნენ, რომელთაც ემიგრაციაში შექმნილი თავიანთი ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების საგანძურში.

ალ. მანველიშვილის აზრით, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მიერ შექმნილი ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედებიდან მხოლოდ რამდენიმე ავტორის ნაკალმევი იყო დამაკმაყოფილებელი მხატვრული ოსტატობის მხრივ. მაგალითად: „მხატვრულ მწერლობაზე, – წერდა იგი ერთგან, – ბევრი არაფრის თქმა შემიძლია; ასეთი რამ თითქმის არ არსებობდა, თუ მხედველობაში მივიღებთ პროზას. რაც შეეხება პოეზიას, ამ მხრივ ქართულმა ემიგრაციამ მსოფლიო რეკორდს მიაღწია! ერთხელ საქართველოში გიორგი ციციშვილი ტრაბახობდა, რომ დღეს საქართველოში ათ კაცზე ერთი ლექსებსა სწერსო. მას არ სცოდნია, რომ ემიგრაციაში ათ ქართველზე ცხრა სწერს ლექსებს: ზოგი რუსულად და ფრანგულადაც...

მოკლედ, მთელი ემიგრაცია ლექსად იქცა. ზოგმა მოხუცმა მოღვაწემ თავისი მოგონებანი ლექსად დასწერა; ერთმა კიდევ ქართლის ცხოვრების გალექსვა მოინდომა და ისე გარდაიცვალა, რომ მისი მთლად გალექსვა ვეღარ მოასწრო. ზოგმა პოლიტიკური მიმოხილვები ლექსად ასწერა. ერთმა უკვე ღრმად მოხუცებულმა ქართველმა ლექსი დასწერა ფრანგულ ენაზე, სადაც აწერილია ჰიტლერის, მუსოლინის, დალადიეს და ჩემბერლენის შეხვედრა; და კიდევ რამდენი ამისთანა: თუმცა ემიგრაციაში მაინც აღმოჩნდა რამდენიმე ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული, რომელთაც შექმნეს ღირსეული ნიმუშები ქართული პოეზიისა და რომელნიც შეიძლება გაუტოლოთ საქართველოს ცნობილ მწერლებს“ (მანველიშვილი 1991: 69).

„ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულთა“ სახელით მოხსენიებულ ასეთ ავტორად ალ. მანველიშვილი, უპირველეს ყოვლისა, გრიგოლ რობაქიძეს მიიჩნევდა, რომლის შემოქმედებითი ღვაწლის წარმოჩენა მან წერილობითი ფორმითაც სცადა რამდენჯერმე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1964 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი, სადაც მან არა მარტო ღრმად შთამბეჭდავი ეპიზოდები გაიხსენა მწერლის ცხოვრებიდან, არამედ მეტად საგულისხმო მოსაზრებანიც გამოთქვა მისი შემოქმედების შესახებ.

შემდეგი მწერალი, რომელიც ალ. მანველიშვილმა ქართველ ემიგრანტ მწერალთა შორის შემოქმედებითი წარმატებებით გამორჩეულ ავტორად მიიჩნია და წერილობითი ფორმით გამოხატა მისი მხატვრული ნააზრევისადმი ხაზგასმულად პოზიტიური დამოკიდებულება, გიორგი ყიფიანი (1908-1986) იყო. კერძოდ, 1980 წელს გამოქვეყნებულ წერილში მან საფუძვლიანად განიხილა მისი პოეტური კრებული „საზიარო პოეზია“ (პარიზი, 1979). ხსენებული კრებულის ასეთი სახელწოდებით გამოცემა იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ გ. ყიფიანის ლექსებთან ერთად მასში მისი მეუღლის რამდენიმე ლექსიც იყო დასტამბული.

ალ. მანველიშვილის ლიტერატურული ნააზრევის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მის იმ წერილებზეც მინდა ვთქვა, რომლებშიც საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის რამდენიმე წარმომადგენლის შემოქმედებაა განხილული. როგორც ამ პუბლიკაციებიდანაც თვალნათლივ ჩანს, იგი არა მარტო ქართველოლოგიური მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომებს ეცნობოდა და ეხმაურებოდა ძალზე აქტიურად და უკომპრომისოდ კრიტიკული თვალთახედვით, არამედ თავისი დროის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებით სიახლეებსაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ჟურნალ „კავკასიონის“ 1964 წლის IX ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი წერილი, რომელშიც კრიტიკულადაა განხილული გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი „ლაშარელა“. განსხვავებით შესაბამისი პერიოდის საქართველოში ხსენებულ რომანთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა ავტორებისაგან, რომელთა შეფასებითაც გრ. აბაშიძის ეს რომანი ქართული ლიტერატურის „ფრიად საყურადღებო შენაძენად“ იყო მიჩნეული, ალ. მანველიშვილი ამტკიცებდა, რომ რომანის „თემა დაუძლეველი აღმოჩნდა და ავტორი დამარცხდა როგორც ისტორიულად, ისე წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით“ (მანველიშვილი 1964: 138).

ალ. მანველიშვილი შეეცადა, გრ. აბაშიძის რომანთან დაკავშირებით ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოთქმული თავისი ეს მოსაზრება სათანადოდ ნათელეყო როგორც შესაბამისი პერიოდის ისტორიულ რეალობასა და ამ რეალობის ავტორისეულ წარმოსახვას შორის არსებულ შეუსაბამობათა წარმოჩენით, ისე ნაწარმოების მხატვრულ მხარესთან მიმართებით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებითაც.

როგორც ცნობილია, ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში ალ. მანველიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის წარმომჩენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდად იქაურ რადიოსადგურებში („კავკასიონი“, „თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“) მოღვაწეობაც იქცა. კერძოდ, ხსენებულ ტალღებზე გამოსვლის დროს იგისათანადოდ მიმოიხილა ვადაჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თემატურად მრავალმხრივი ამ გამოსვლების ერთ-ერთ მიმართულებას ქართულ მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაც წარმოადგენდა. კერძოდ, ალ. მანველიშვილი მათი მეშვეობით მსმენელს ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ, ისე საბჭოთა პერიოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებით სიახლეებზე.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**ავალიშვილი 1931:** ავალიშვილი ზ., ვეფხის ტყაოსნის საკითხები. პარიზი, 1931.

**ილია ემიგრანტთა თვალთ 1996:** ილია ემიგრანტთა თვალთ, II. თბილისი, 1996.

**მანველიშვილი 1933:** მანველიშვილი ალ., ვეფხის ტყაოსანი და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია. სტამბოლი, 1933.

**მანველიშვილი 1964:** მანველიშვილი ალ., გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“. იხ.: ჟურნალი „კავკასიონი“, #9, პარიზი, 1964.

**მანველიშვილი 1987:** მანველიშვილი ალ., ძველი ქართული მწერლობა. სან-ფრანცისკო, 1987.

**მანველიშვილი 1990 (1):** მანველიშვილი ალ., ნარკვევები და წერილები. სან-ფრანცისკო, 1990.

**მანველიშვილი 1990 (2):** მანველიშვილი ალ., აკაკი: ტკბილი მგალობელი. იხ.: ჟურნალი „გუმბაგი“, #23, პარიზი, 1990.

**მანველიშვილი 1991:** მანველიშვილი ალ., ახალი წერილები. აშშ, ქალაქი არვადა, 1991.

**ნიკოლეიშვილი 2015:** ნიკოლეიშვილი ა., ქართულენოვანი ზეპირ-სიტყვიერება და მწერლობა თურქეთში. ქუთაისი, 2015.

**შარაძე 1993:** შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი მეორე, თბილისი, 1993.